ხელშეკრულება № 125
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული

23 ივლისი 2018 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგნილი მუნიციპალიტეტის მერის თემური ჩუბინიძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. "ბაბი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ნელი კირკიტაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტია ვენტილატორების მოწოდება (შემდგომში „საქონელი").
CPV კლასიფიკატორის კოდი: 39700000

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 585 (ხუთასოთხმოცდახუთი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სააქონლო ზედნადებისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონელის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემური ჩუბინიძე.

5. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონელის მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N3
5.2. საქონელის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
7.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების კონტროლს

განახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მე-2 რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი ჯონდო ქასრაშვილი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.02%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით

8.4. ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის მეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 23 ივლისიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი"
ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N3
საიდენთიფიკაციო კოდი 219636259
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში

მიმწოდებელი

შ.პ.ს. "ბაბი"
ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ.N49
საიდენთიფიკაციო კოდი 419620609
ს.ს. "საქართველოს ბანკი" ბ.კ.BAGAGE22
ა.ა. GE76BG0000000225487000

ინფორმაცია

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.ტყიბული

23 ივლისი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ვენტილატორების მოწოდების მიზნით შ.პ.ს. "ბაბი "-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ზედამხედველი);
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის განყოფილების მე-2 რანგის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის უფროსი: ჯონდო ქასრაშვილი